

# დღეღმას

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

თბილისი - 5830690 1997 წელი

F-343  
1997.

ემაწვილი უნდა სწავლობდეს  
საეცნობლად თავისადამ:  
ვინ არის, სიღამ მოხუდა,  
სად არის, წავა სადამ?



# ქართული საბავშვო პოეზიის მცირე ანთოლოგია



რეზილ არისტაძე

## სამშობლო ხევსურისა

სადღე უმობილვარ, გაუსრდილვარ  
და მისროლია ისარი,  
სად მამა-მამა მეგულვის,  
იმთი კუბოს ფიცარი,  
სადღე სიურმითვე განველვარ, -  
ჩემი სამშობლო ის არი.

არ გავცვლი საღსა კლდეებსა  
უკვდავეებისა ხეხედა,  
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს  
სხვა ქვეყნის სამოთხეხედა!..

მე მირჩევნია შავი კლდე,  
თოვლიან-უინულიანი,  
ორით რომ ბუდობს, ჩანჩქართი  
გამოქქუს ბროლი წყლიანი,  
ჯიხვი და არჩვი მყოფა,  
ხორცი აქვს მარილიანი...

არ გავცვლი საღსა კლდეებსა  
უკვდავეებისა ხეხედა,  
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს  
სხვა ქვეყნის სამოთხეხედა!..

ბარად რომ ვიყო ღვალადა,  
ხული მთისკეხვე ისარის.  
სალი კლდე ანდამატივით  
გულს სულ იქითაგან ისარის,  
იქ მივლის შავი სიკვდილი,  
ბარში სიცოცხლეც იმწარის!..

არ გავცვლი საღსა კლდეებსა  
უკვდავეებისა ხეხედა,  
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს  
სხვა ქვეყნის სამოთხეხედა!..

ბარად რომ მომცე დიდება,  
ქონება უთვალავია,  
სასახლე თქროს ტახტითა,  
ჯარი და ზღვაზე ხავია,  
არა ვინდომო გვენი,  
არ მოკვდეს ჩემი თავია...

არ გავცვლი საღსა კლდეებსა  
უკვდავეებისა ხეხედა,  
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს  
სხვა ქვეყნის სამოთხეხედა!..

სამშობლო, დედის ძუძუი  
არ ვაიცვალეებისა სხვახედა,  
ორივე ტუბილია, მობილია,  
მირჩევნის ორსავე თვალხედა.  
როგორც უფალი, სამშობლოც  
ერთია ქვეყნასხედა...

არ გავცვლი საღსა კლდეებსა  
უკვდავეებისა ხეხედა,  
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს  
სხვა ქვეყნის სამოთხეხედა!..

### პატარაპო!

თქვენს ხელობა კიდევ ერთი ღამაზად გაფორმებული ჟურნალი „ღიდა“, რომლის ყოველ გვერდზე უწყველი „ბრძოლა“ გაჩაღებულია! აქ დღეი მონღოლებით ერთმანეთს ეჯიბრებიან შობლები, შვილები და ახლობლები!

მწერალი შობლები ღამაზად მოვეთხნობენ სამშობლოს სიყვარულზე, შეგობობაზე, ერთგულებაზე, ხილი მხატვარი შვილებს ცდილობენ ასევე ღამაზად დაგვისატონ შთაი მონათხრობი! ერთი სიტყვით, აქ ისეთი პაექრობაა გაჩაღებული, სადაც დამარცხებული არაგან არის, მოგებით კი, ძირითადად, პატარა შვილები ივებს - ჟურნალის კიდევ ერთი ღამაზა სიწერი რომ ივდის ხელი! რედაქციამ იმაზეც იზრუნა, არდაღვეების დღეებში უფრო მონიხლავად რომ გამოიყურებოდეთ და სავანებოდ სისთავა სამხატვრო აკადემიის მე-5 კურსის სტუდენტს თვა მაქიათ და ქალბატონ მაყვალა აბანიძეს თქვენთვის ტანსაცმლის საუკეთესო მოდელად შემოეთავაზებინათ.

შიბირულ დასვენებას გაისურვებო, ძვირფასო შეგობებო!

შობაღელ შეხვედრამდე!

ღ(ღ)ღ ღ(ღ)ღ(ღ)ღ(ღ)

## მრწამს... ეკლესია

6666 მარკვიანი

შესაძლოა გაგივიზიანო ასეთი ნათქვამი - ღმერთი მრწამს, მაგრამ ეკლესიას არ დაევივარ, ღმერთის ისედაც კარგად ესმის ჩემი.

ძალით, დღეს იმის შესახებ ვისაუბრობი, თუ რა არის ეკლესია, რას აძლევს ადამიანს ეკლესიური ცხოვრება და რა კავშირია ქრისტესა და ეკლესიას შორის.

ზოგს ჰგონია, ეკლესია მხოლოდ შერობა-ტაძარი, და კიდევ ხატები, საწილები და მღვდლები. სინამდვილეში ეკლესია გაცილებით მეტს ნიშნავს. ეკლესია არის ცხოვრება ღმერთთან ერთად.

არის ზეციური და მიწიერი ეკლესია. ზეციურ ეკლესიას შეადგენენ ზეციური ძალები, თუ ანგელოზთა ცხრა წყება, ცხრა დახი. ამ სახით ეკლესია მანამდე არსებობდა, სანამ ღმერთი ადამიანს შექმნიდა. ზეციურ ეკლესიას შეადგენენ ასევე ის წმინდანები, რომლებიც ერთ დროს ჩვენსავე მიწაზე ცხოვრობდნენ, გარდაცვალების შემდეგ კი ღმერთთან ერთად იმყოფებიან სასუფეველში. ზეციური ეკლესია ეხმარება მიწაზე მუდმივად აღმანიჭებს ბოროტებისაგან, ცოდვისაგან ბრძოლაში.

მიწიერ ეკლესიას ქროფება მტრობით ეკლესია, მაგრამ ის ხშირია და მსუბილოთ კი არ იბრძობს, არამედ ცოცხალ უპირისპირებს მადლს, ე.ი. ღვთაებრივ ძალასა და ნიჭს; ბოროტებას - სიკეთეს. ეკლესიის ყოველი წევრი ცდილობს ბოროტებას, ცოდვას უპირველესად საკუთარ თავში დაამარცხოვოს, რომ ღმერთთან ერთობა მოიპოვოს. სწორედ ღმერთია ეკლესიის თავი, ის ვეამბედავს სიცოცხლეს, ჩვენ სიცოცხლეს კი - აზრს, რწმუნას, იმედს, სინამდღეს და სიყვარულს.

ეკლესია ადამიანს არ გამოუგონებია. ის იესო ქრისტემ დააფურნა. ამის შესახებ სახარებაშიც კეთილხუმობით ერთხელ იესო ქრისტემ თავის მოწაფეებს ეკითხა: ამის შესახებ სხვადასხვა რამეს ამბობენ, თქვენ ვინა გგონივართო". პეტრემ, ქრისტეს მოწაფეებ, თავ უპასუხა - „შენ ხარ ქრისტე, ძე დროსისა ცხუვალისა“. მაკეფივარმა პეტრეს უთხრა - „შენ ხარ კლდე, და ამის კლდეს ზედა აღვაშენი ეკლესიით ჩემი, და ბუნები ვოჯოხნობისანი ვერ ერეოდან მას და მიცევი შენ კლიტეჩს სასუფეველსა ცათანა...“ (მათე 16, 18, 19).

ე.ი. ეკლესია შენდება კლდეებით მტკიცე რწმუნებზე იმისა, რომ იესო ქრისტე არის ღმერთი, რომელმაც ადამიანური, კაცური ბუნება მიიღო, რათა გადაგვრჩინა ღმერთი, ურწმუნო ადამიანები ცოდვისა და სიკვდილისაგან და სასუფეველში გზა გაგვჩინა მათთვის. უფალი ამბობს, რომ სწორედ ეკლესიას სასუფეველის გასახლება.

ეკლესია ქრისტეს განტოცებადგენს არსებობდა (განტოცება ნიშნავს ღმერთის მიერ აღმანიჭარია, კაცური ბუნების მიღ-

ბას) ოღონდ განსხვავებული სახით. ღმერთმა მიიღო საშარო იმისთვის შექმნა, რომ ადამიანს, ღვთის დახმარებით, ის ეკლესიად ექცია. რას ნიშნავს ეს ეკლესია, როგორც კითხი, არის ღმერთთან ერთად ცხოვრება. პირველი ეკლესია იყო ეფემი, სამოთხე, სადაც პირველი ადამიანები - ადამი და ევა ღმერთთან ერთად ცხოვრობდნენ. ისინა პირდაპირ იმყოფდნენ ღმერთს.

პირ იმყოფდნენ ღმერთს სიტყვით, ესაუბრებოდნენ მას. ღმერთთან საუბარს ხშირ ღოცვა ჰქვია. ღმერთთან ადამიანს მისცა მოღიე სასყარო, მის მეფედ დააფურნა იგი და მისი პატრონობა დააფურნა. ადამიანს ღმერთისათვის მადლიერებითა და სიყვარულით უნდა გასახება, გამარჯობებულიყო, სამოხის საზღვრები თინდათან გაეყარათობინა და მოღიე საშარო ღმერთთან ერთად ცხოვრებისათვის გაეშახლებინა. მაგრამ ადამიანმა ასე ისურვა ასე, ის გაამარტავინდა, მოინდომა ღმერთის გარეშე ცხოვრება და ღმერთად ექცევა. ეს უღიე სიყვარული იყო. კლიტამ დაამისხნა ადამიანი. მან დაკარგა ღმერთი და ამიტომ დაკარგა სულიერი სისუფილე და სიძლიერე. მისზე გაბატონდა ტყეული, ტანევა, ავადმყოფობა, სიკვდილი. ღმერთს უფერას ადამიანი, ამიტომ აღუოტება მას, რომ მოუკლუნდა მსხნელს. ვინც გააძარჩნდა მას თუღმურებისაგან, ამის შემდეგაც არსებობდა ეკლესია. ეს ეკლესია ადამიანებს აზღიედა მათივე საკუთარი მსხნელის მისახლება. ამ ეკლესიას უწოდებენ მტეული აღიქმის, ან მოლოდინის ეკლესიას. საშახდისის მრავალი საუკუნე დახტონდა. და იმ, მოივდა იესო ქრისტემ, რომელმაც დაამარცხა ცოცხა, სიკვდილი და ადამიანს ღმერთთან მისახვეული გზა გაუხსნა, ღმერთთან დაბარუნა. ბევრს ჰგონია, რომ ღმერთთან მისახველად მრავალი გზა არსებობს, მაგრამ ქრისტე ამბობს: „ამ ვარ გზა და მე ვარ ეკუმარტობისა და ცხოვრება“ (თანე 14,6). ქრისტემ იმაზე მეტი მოუტანა ადამიანს, ვიდრე მას ჰქონდა სამოთხეში. ქრისტემ მოიტანა ახალი ცხოვრება, ახალი სინამდღე, ცხოვრება ღმერთთან ერთად. სასუფეველი მიწაზე - ეკლესია! თუ ვერმე შეიძლება ადამიანს დაეკარგა ღვთაებრივი ძალა - მადლი, ქრისტეს შემდეგ მას ეს აღარ ეშუქრება. ნაილობის დროს, მორწმუნებისაგან ადამიანს ენიჭება სულიწმინდის მადლი. ის შეიძლება დახარჯო, გაუღიანო, მაგრამ მისი სრული დაკარგვა არ შეიძლება. თუ ადამიანი იბნინებს ცოცხლებს, ითხოვს პატრებას, თუ მას უნდა ღმერთთან ერთად ცხოვრება, სულიწმინდის მადლი ისე უნდაეღება, ე.ი. ეტლება ძალი ბოროტებაზე (ყოველზე გამარჯვებისა, ეტლება სიყვარულის უნარი, სიხარულის განცედა და ენიჭება მრავალი ცხოვრება ღმერთთან, ეს ყველაფერი ატეკ, მიწაზეც, ეკლესიაში იწეება და



გაამარტავინდა, მოინდომა ღმერთის გარეშე ცხოვრება და ღმერთად ექცევა. ეს უღიე სიყვარული იყო. კლიტამ დაამისხნა ადამიანი. მან დაკარგა ღმერთი და ამიტომ დაკარგა სულიერი სისუფილე და სიძლიერე. მისზე გაბატონდა ტყეული, ტანევა, ავადმყოფობა, სიკვდილი. ღმერთს უფერას ადამიანი, ამიტომ აღუოტება მას, რომ მოუკლუნდა მსხნელს. ვინც გააძარჩნდა მას თუღმურებისაგან, ამის შემდეგაც არსებობდა ეკლესია. ეს ეკლესია ადამიანებს აზღიედა მათივე საკუთარი მსხნელის მისახლება. ამ ეკლესიას უწოდებენ მტეული აღიქმის, ან მოლოდინის ეკლესიას. საშახდისის მრავალი საუკუნე დახტონდა. და იმ, მოივდა იესო ქრისტემ, რომელმაც დაამარცხა ცოცხა, სიკვდილი და ადამიანს ღმერთთან მისახვეული გზა გაუხსნა, ღმერთთან დაბარუნა. ბევრს ჰგონია, რომ ღმერთთან მისახველად მრავალი გზა არსებობს, მაგრამ ქრისტე ამბობს: „ამ ვარ გზა და მე ვარ ეკუმარტობისა და ცხოვრება“ (თანე 14,6). ქრისტემ იმაზე მეტი მოუტანა ადამიანს, ვიდრე მას ჰქონდა სამოთხეში. ქრისტემ მოიტანა ახალი ცხოვრება, ახალი სინამდღე, ცხოვრება ღმერთთან ერთად. სასუფეველი მიწაზე - ეკლესია! თუ ვერმე შეიძლება ადამიანს დაეკარგა ღვთაებრივი ძალა - მადლი, ქრისტეს შემდეგ მას ეს აღარ ეშუქრება. ნაილობის დროს, მორწმუნებისაგან ადამიანს ენიჭება სულიწმინდის მადლი. ის შეიძლება დახარჯო, გაუღიანო, მაგრამ მისი სრული დაკარგვა არ შეიძლება. თუ ადამიანი იბნინებს ცოცხლებს, ითხოვს პატრებას, თუ მას უნდა ღმერთთან ერთად ცხოვრება, სულიწმინდის მადლი ისე უნდაეღება, ე.ი. ეტლება ძალი ბოროტებაზე (ყოველზე გამარჯვებისა, ეტლება სიყვარულის უნარი, სიხარულის განცედა და ენიჭება მრავალი ცხოვრება ღმერთთან, ეს ყველაფერი ატეკ, მიწაზეც, ეკლესიაში იწეება და

დაცვალების შემდეგ მარადისობაში გრძელდება. ქრისტეს ეკლესიის დაარსა მოხდა ქრისტეს აღდგომიდან ორმოცდამეათე და ქრისტეს ზეცად ამაღლების შემდეგ მეათე დღეს, იერუსალიმში. ქრისტეს მოწაფეები ღვთისმშობელთან ერთად ერთ ოთახში იყვნენ შეკრებილნი. უცხად ოთახი აგეს უცნაურმა ხმამ, რომელიც ქრისტის მობრუნებას შეავდა. თითოეულის თავზე გადმოვიდა ცეცხლის ენები. ეს იყო სულიწმინდის მადლი, რომელსაც აგეს იმ მყოფი ადამიანები. მადლს ადამიანისთვის მოაქვს ნამდვილი ცხოვრების, ნამდვილი ბედნიერების შეგრძნება. შეიძლება ადამიანმა ცხოვრებაში მრავალ წარმატებას მიადწიოს, მოხვედროს დიდი ქონება, ძალაუფლება და ა.შ. მაგრამ თუ მადლი არ მოუხივება, მას დაუკმაყოფილებლობის გრძნობა დასტანავს. ასეთი კაცი მიიღ ცხოვრებას საკუთარი სურვილების დაკმაყოფილებას მოახმარს. ის კი, ვინც მადლი მოხვედრა ცდილობს საკუთარი სიხარული სხვასაც გაუხაროს, ქრისტეს მოწაფეები უბრალო შეკრებები იყვნენ. სულიწმინდის მადლის გამოხსენის შემდეგ მათ სასწრაულებრივად დაიწყეს სხვადასხვა ენაზე საუბარი და ღმრთის დიდება. ისინი ქალაქიდან ქალაქში დადიოდნენ და უამრავ ხალხს უკვებდნენ ქრისტეს სწავლებას, და ხალხშიც მათი სიტყვითა და სულიწმინდის მადლით ხლებოდა ნამდვილი ღმრთობის - იესო ქრისტეს რწმენის დაბადება, მადლისა და სიხარულის გამოავლენა. როგორც სასარგებლო ნათქვამი, მოციქულები ახარებდნენ ქრისტეს აღდგომას და სულიწმინდის მადლს. მართლაც, ამაზე სასიხარულო რა შეიძლება იყოს - სიკვდილი დამარცხდა და მადლი ისევ დაუბრუნდა ადამიანს, მადლი, რომელსაც შეუძლია სრულიად შეეცალოს ადამიანი - განაახლოს, განწმინდოს ცოფებისაგან, რათა ამ ახალმა ადამიანმა შეძლოს თავისი ნამდვილი მოვალეობის შესრულება - უყარდეს სხვა ადამიანები, სამართა, ღმრთობა, და ღმრთოებით სრულყოფილი გახდეს.

იმ დღიდან ოცი საუკუნე გავიდა, ქრისტეს ცხოვრების ამბავი, ქრისტეს სწავლება და მადლი - მიწაზე მოხუდი ღვთაებრივი ძალა - ეკლესიაში შემოგვიჩანა. ეკლესია არის მადლის ქურცქელი. ის მადლს იმისათვის იხანავს, რომ რაც შეიძლება მეტ ადამიანს მიხედვს, გაუხაროს. ქრისტემ მადლის გადასაცემად ეკლესიაში დააწესა შვიდი საიდუმლო. მათ შესახებ ცალკე ვისაუბროთ, ახლა კი მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ საიდუმლო არ ნიშნავს კლავისებურ რაიმეს დაძალ-

ვას. ეს არის განსაკუთრებული წესის შესრულება, რომლის დროსაც ადამიანს მიეცემა მადლი. საიდუმლოები წესის შესრულებას იმითომ ჰქვია, რომ მდგომარეობა იფალოთ ვერ უხდები. ის მხოლოდ სულით შეიძლება იფაროს. ამიტომ ვამბობთ, რომ წყენ ეკლესია ისევე გვქამს, როგორც ღმრთობა. რა არის რწმენა? რწმენა არის სულიერი ცოდნა, განცედა იმისა, რასაც თვითონ ვერ ხედავ. ღმრთობი სულია, ამიტომ ჩვენ მას სულით განვიცდით განსაკუთრებულ ქრისტეს ეკლესიაში თანამდროვე ხატვება, მაგრამ მხოლოდ გამორჩეულმა ადამიანებმა ირწმუნეს ის, როგორც ღმრთობა.

ეკლესია იესო ქრისტეს შეავს. ქრისტე არის სრული ღმრთობი და სრული ადამიანი, ე.ი. მას აქვს ორი ბუნება - ღვთაებრივი და მსოფიერი. ასევე ეკლესიაც. მას აქვს ორი მხარე: მსოფიერი - ხილული და ღვთაებრივი - უხილავი.

ეკლესიის უხილავი მხარე არის მადლი, რომელიც მოქმედებს ეკლესიაში. არიან ზეიციური ძალები - ანგელოზები, წმინდანები და თავად ღმრთობი, წმინდა სამება - მამა, ძე (იესო ქრისტე) და სულიწმინდა (სამება არ ნიშნავს, რომ სამი ღმრთობი არსებობს, ღმრთობი ერთია).

ეკლესიის მსოფიერი, ხილული მხარეა ის, რისი დანახვაც შეუძლებელია: ეს არის მორწმუნე ადამიანები - როგორც სამეფელოება, ასევე ქრისტიანები (ეკლესიაში მოსაძარულე ქრისტიანები, ანუ ხალხს, სხვაგვარად მეფელი ყოფილი); ეს არის ტაძრები მათი შემკულობით, ხატები, ეკლესიის მშატკრობითა და კედელზე გამოქანატებული გამოსახულებებით (რელიეფებით), სწავილებით, საღვთისმშობური წიგნებით... ეს არის ღვთისმსახურება თავისი ღირცეებით, საგალობლებით... ეს ეკლესიური იმისათვის არსებობს, რომ გამოიხატოს ეკლესიის უხილავი მხარე, უხილავი, სულიერი ცხოვრება, და გაუაფილოს ადამიანს გახედეს ამ ცხოვრების მოწაფეობა.

ორივე ეკლესია ერთი ძილიანი სხეულია. მისი თავი არის იესო ქრისტე, ხოლო სხეულის ნაწილები ვართ ჩვენ - ეკლესიის წევრები.

ეკლესია ბერძნული სიტყვაა და მოწოდებას ანუ დაძახებას ნიშნავს. ეკლესია გვეძახის, გვეპოტება დღესასწაულზე. ეკლესია დღესასწაულის ცოდვის, სიკვდილის დამარცხებას და სიცოცხლის გამოაფილებას, გამოაფილებას მარადიული სიცოცხლის ღმრთობით ერთად მოვლით, რე დაგვადლებით ამ დღესასწაულს.





1999 წლის ხარანაულო  
27 მაისი



### შესვს ხარანაულო

ბიჭი გაჩნდა და რა ბიჭი  
ხარანაულო გომრვი,  
ქუთ ბუბუსა ზოვს, ამ იყოს,  
იმან მტკვარი და იოროი,  
ამის საქართველო ამ იყოს,  
ვისაც უბრა სესს თაყვანი,  
არც დავიოი და ურჯლო,  
თავისი მამა-პაპანი.  
ქუთ დეოს ბუბუ ვამბარა  
აძინი ქოვობის ხაჯანი,  
როგორ უკვანან და ძმანი  
რომ დაუჩინან აყვანი.



# სიყვარული!



ამ ციყვნა ბიჭს ვერე კი ნუ ვეკრებთ,  
- ესაო და უსუარიაოჲ რასიუ ვეკეტეთ,  
კუალ უნდა აღანსრულოსი! სურას უკაყ-  
რთელ, თუ თავისი ნებეჲ არ არს, თერ-  
მე თთისაჲ არ გაანძრევე, გეწყნითი, რა!  
და თუ გაჯიუტდაააა და თუ ფეხიე დაა-  
ბაკენაააა, - გვეულად გათრჯებით შეა-  
გონით ამ თვისებით ცნობლი თხების  
არაქი, თუმცა თხა რა შუამისა? ციყვნა  
ჯაქია, დიხ ჯაქი!



ამა, წარმოიღვინეთ, კობლეჲჲ შე-  
წაქეპული ციყვნა!

- შე და ციყვნა ამ დღეს ერთი თახამი ვიჯიეთი ხეკურად.
- მითრეთ, ციყვნა, - მააწოღეს სუფრამე მახამინდებმა ხან რა, ხან რა...
- არ მინდა, - კრიაჲ შეიკრა ბიჭმა.
- აბა, დღესი გეთხარა, - სისოვეს ბავშვებმა.
- არა, არ ვიგევი, - შეუბღერა ციყვნამ.
- ამას ხიმღერა უკვარს, - შეგაღერსა ხითე-  
საგი ვიჯიეთა, რომლის დაბადების დღემე ვიჯი-  
ეთი ყველანი მაწვეულსა.
- არა! ბიჭოს! - დაჰკრა ფეხი ციყვნამ და ისე  
დააბაკენაააა, შევიდა, ჭერი ჩამოგვეშო თავმე.
- არაო და სუეო, - შემოიყვანენ ბავშვები და  
შეიყენენ ლხენას.

შეშინდი, ციყვნამ ვხანდ აუღამაყალი არ  
აგების შეიქი, რა ბრძანებია, სკამზე შესკულა  
და სუფრას მოუღახინა.

კიდეჲ კარგი ბუგია არ ყოფილა. აღბათ, გა-  
გონილი აქეს ბუგითის შეძახილი: „ბუგია, ბუ-  
გია, ხინაგეგზე კენგია“, ხაამიოდ არ ვამბოს,  
დმერთმა შეარჯოს, უნდა გენახათ, რა ხაამოდ  
მოუთათროვა ყველაფერს, ბოლოს ყურმის მტე-  
ვანი შეაკინწიალა ხელში და მარცვალ-მარ-  
ცვალ ჩაიკოლომინა პირი, შერე, თქვენ ხართ  
ხემი ბაგონი, ხელსაწმენდი მოსუღეთია პირი,  
ხელები და... რა თქო, რა არა, ისკუპა სკამდარ,  
ჯერ კამარა შკრა, შერე ხელები შერგზე შე-  
თქო და ფეხების ბრეგაბრეგით წრეს ჩამოვარ-  
და, ბავშვებმა გამი დასხეს, აიწვერა და რას  
აიწვერა ციყვნა, ვაჯე-ვაძოუსა და რა ვაჯე-  
ვაძოუსა ფეხი, ბოლოს მახამინდის წინამე და-  
ოკლაჲჲ და შკერდზე ხელმადებულმა თავი და-  
ხარა, ნამ ხელები პეკელას ფრთებიეთი აიწ-  
დაიწინა და გოგონათი გაჰყვა, ისეთი მშვენიერე-  
ბი იქნენ, უკეთეს ხანახახს ვერ ინარებდი, გა-  
ხარებული შეიყვრებდა ციყვნას ეღდა...

ხეც რაღას ვერნით? როგორ თუ ლექსი არა  
თქვაო, როგორ თუ ვისოფეთი და არ იმღერაო...  
ვას, კაქია და გუბნა!  
ციყვნა კი არის, მაგრამ ვაქაკია!  
გაუმარჯოს ციყვნებს...



\* ხუთისწლით ვიდრე ათ წლამდე ვიქას უსუარი და ქალსა უსუარა ეწოლებს.  
\*\* კობლე - მღვდის და წყლის პირი კლიოენი (საბა)  
\*\*\* დიოკდა - შეხერდა





### ღრუბელია დაბნეული

ღრუბელმა ხეს ჩამოჰკიდა  
 მოღიმღიმე მძივი წვიმის;  
 ქარი კვიცხ: - მე!  
 მეც მინდა! -  
 კვიცხ, წვიცხ,  
 ბორჯავს, დახტის, დაძლიცინობს  
 მაწანწალა და ეული...  
 - ქარს მძივი სად ჩამოვკიდო? -  
 ღრუბელია დაბნეული.

### ჩემკავს ზისო

ალო, ალო! - რეკავს ზისო,  
 ჩქარა სთხოვეთ ირაკლისო...  
 ზისუნიავე, რა გიჭირსო?  
 თჰ, როგორ თუ რა მიჭირსო?  
 სასლმი ვეღარ შემოვსულვარ,  
 კართან დიდი მურა ზისო.



### რად

ქარმა კაბა რად მოსტაცა  
 ვაუაჩოსა? - ფიქრობს ანა, -  
 თვითონაც ვერ ჩაიფიქვდა,  
 რად დასტოვა ტიტლიკანა?






ხალიხიანი „საგაზაფხულო“ ვარცხნილობა ფერად-ფერადი თმის შესაკრავით დამაგრებული პაწია „რქებით“.



შეკერილია ყვავილებით მოჩითული ქსოვილით. ზემოდან გადაუჭრელია, რვანაჭრიანი, წელში გამოყვანილი. ქვემოთ განიერი ტრაპეცია. გული და იდლები გაწყობილია წითელი ქობით. იკვრება „ფისტონებში“ გაყრილი ქობის ქსოვილის თასმებით.




სარაფანი უჯრედებიანი ქსოვილისაგან „კოკეტით“. „კოკეტ-კა“ ერთფერი, ნაქსოვი, გაწყობილი სარაფანის ქსოვილით. მის ქვედა ნაწილში გაკეთებულ დილაკლოვებში გაყრილი ლენტები წინ ბანტად იკვრება. ქვედატანი ტრაპეცია, ოდნავ ნაოჭასხმული („სბორკებიანი“).







აიღეთ შიტკლის ან ტილოს ნაჭერი. მოცემული დეტალების მიხედვით გამოჭერთ თოჯინის სხეულის ნაწილები სასურველ ზომებში, და ხელით ან მანქანით ცალ-ცალკე შეკერეთ, შემდეგ გამოტყნეთ მატყლით ან ბაშბით. თუ არც ერთი გაქვთ და არც მეროვ, შეგიძლიათ გამოიყენოთ რბილი ქსოვილის ნაქუწები. დეტალები გულდასმით მიაკერეთ ერთმანეთს. სახე ამოუქარგეთ ყურადი ძაფებით, თმა გაუკეთეთ შავი ან ყავისფერი ძაფით. ბოლოს შეუკერეთ და მთარგეთ ტანსაცმელი.



ანანო არაბული

შეარჩიე ორი თეფში, ერთი დიდი და ღრმა მათლაფა, მეორე კი პატარა, ფრიალა, - საუზმის თეფში. დიდში ცოცხალდნი წყალი ჩაასხი, იმდენი, რომ შიგ ჩადგმული პატარა თეფში ატივტივდეს. ახლა საკმარისია ფრიალა თეფშს ოდნავ ხელი გააკრა, რომ მან ტრიალი დაიწყო.

პატარა თეფშს კედლებზე მიაკარი მუყოსაგან გამოჭრილი ერთი ზომის ფიგურები - კაცუნას გამოსახულება სხვადასხვა მოძრაობაში - პირველს ხელები დაშვებული უნდა ჰქონდეს, მეორეს ოდნავ აწეული, მესამეს მხრების დონეზე, განმკლავით ვამოლილი, მეოთხეს - მხრებზე მალა აწეული, მეხუთეს - ზვეით აწეული.

ახლა კარუსელი ხელის გაცვრით ამომძრავე და სქელ ქაღალდში კატობული ნახერტიდან ცალი თვალით უკურე ფიგურას. თეფშის ჩრდი ტრიალის გამო მოგვრელება, რომ ფიგურა მხოლოდ ერთია, იმაც კაცუნა გაცოცხლებულა და ენერგიულად ვარჯიშობს. შეგიძლია კაცუნა შეცვალო ცხოველის ან ფრინველის ფიგურებით, ოღონდ არ დაგავიწყდეს მათი თანმიმდევრულ მოძრაობაში გამოჭრა.

თუ ზოოტრობი (ასე ჰქვია ამ ხელსაწყოს) მოგებზრდა, თითოეულ ფიგურას მიუწერე რიცხვები, ღრმა თეფშს რაიმე საგანი მიადევ და ამხანაგებთან ერთად „ლატარა“ ითამაშე. რიგრიგობით დაატრიალე კარუსელი. რომელი ფიგურაც თეფშზე მიდგომულ საგანთან ვარჯიშება, იმის ნომერი გინივსები, რამდენი ქულა ჩაგვრიცხეს. ვინც პირველი მოაგროვებს ქულათა დათოქულ რაოდენობას, მოგებულიც ის იქნება.

გავიგოს ლპკული



ფიგურები



# დათვი და ტურა



იყო ერთი ზარმაცი ტურა. დილით ადრე ადგომა არ იცოდა, შუადღეზე ძილი უყვარდა და საღამოს, შხის ჩასვლამდე - მოსვენება.

სიზარმაცე, აბა, რა ხეირს დააყრიდა და შიმშილით სული ხდებოდა. თვალი მუდამ სხვის ნა-ნადირეზე ეჭირა, მაგრამ მელა იმას ქათმის ჩინიას დაანებებდა? ან მგელი - ცხვრის ღუმას? დათვი კი, მართალია, ბრიყვია, მაგრამ წაბლით, პანტითა და კენკრით იკვებება.

ტურამ იფიქრა (შიშშილი რას არ ჩაგადენინებს!), იქნებ ეს ბაჯბაჯა ვაცდუნო და ცხოველებზე ნადირობა დაეაწყებინო.

- ამისთანა ჯანისა და ღონის პატრონი, დილიდან საღამომდე საჭმელს რომ დაეძებ და მუ-

- მერედა, მგლის მყრალ ხორცს რა ვაქვინა სო.

- ღორისა იყოს. ანდა ირმისა და შვლის ხორცს რა ვლობა. - პირზე ნერწყვი მოადგა ტურას, - ან ხარ-ძროხას ვინ დაიწუნებს...

გააბრიყვა დათვი. დაერია ეს ვეება ნადირი და



ველაფერს მუსრი გაავლო. ჩაუსახლდა ბუნაგში ტურა, ჭამს, სვამს და სძინავს. ვასუქდა, გაზულუქდა, ტყავში აღარ ეტყვა.

მიწურა შემოდგომა, დაწვა დათვი და აღარ იღვიძებს. დამშუღი ტურა ჩაჰკივის, უსრესს ყურებს და ასხამს ცივ წყალს, მაგრამ ვის ეწურება. უდევს პირში მძინარეს თათი, წოვს და ბაიბურში არაა.

ტურა რაღას ინადირებდა? გაშლილ სუფრასთან ჯდომით სიარულსაც კი გადაეჩნა.

ველო მშვიერ-მწყურვალი დათვის ბუნავთან, ევლო, დასუსტდა, გაძვალტყავდა და თქვენი ჭირი წაიღო.



ცელი ვერაფრით ამოგიყორავს, შენი საცოდაობით მეც მშვიერი ვრჩები და არ ვიცი რა ვიღონო.

გულუბრყვილო დათვმა დაიჯერა: დახე, როგორ ვეყარებივარო!

- რა ვქნა, რა გიმველო? თუ ვინდა ხეზე ავალ, მაჟალოსა და პანტას დავკრეფავ. შენც ჭამე, არ მოგერიდოს.

- შენ, ამოდენა მხეცს, მაგის ჭამა როგორ გეკადრება, როცა, მე რომ გაქუცული და მშვიერი ტურა ვარ, მაგას პირსაც არ ვაკარებო.

- აბაო?... - დაიბნა დათვი.

- შენ რომ მგელს ტორი დაჰკრა, სულს გააფრთხოხობინებო...



### ანა და «დილა»

ჩემი ოცნების სამეარო  
უდამოხატული „დილა“,  
რამდენ სინარულს მძირღება  
როცა გადავშლი ფრთხილად.

მსვდებიან გოგო-ბიჭები,  
მელიები და ვუფხვები,  
მინდორი ფართოდ გაშლილი  
და ამოლტილი ვერხვები.

მთიდან გადმოსჩქვფს მდინარე,  
უვაილეს უვლის ვარშემო,  
გამოცანებსაც ამოხსნით,  
თუ დაფიქრდებით ბავშვებო.

საუხეა „დილა“ ზღანრებით,  
მოთხრობებით და ლექსებით,  
მუდამ მის მოსვლას ველი და  
მის ფურცლებს ვეაღერებო.



### ჩამს შვილიშვილს ნინო

ნინო, ჩემო თვალის ჩინო,  
ჩემო იავ, ჩემო ვარდო,  
საქართველოს ბაღ-ვუნანში  
ლაღად უნდა ინაუარდო.

სიკეთე და სილამაზე  
არის შენი სამეაული,  
გულოდება დიდი გზები  
წინაზრების გაკვალული.

ღმერთი გიცავს ავისაგან,  
ანგელოზი გითვალთვალეს,  
შრომისა და სწავლის მერსზე  
მუდამ გენთოს მზე და მთვარე.

ნინო! ჩემო თვალის ჩინო,  
ჩემო იავ, ჩემო ვარდო,  
როგორ მინდა საქართველოს  
კარგი ქალი გაუზარდო.

დილა



# გულმასარა მზის აგზაში

როგორც იქნა,  
დაამთავრა  
მინდურის თიბვა  
და მზე ახლა,  
მზე ცხრათვალა  
ხელ-პირს იბანს.  
ძირს დაეშვა  
ფრთხანათელი  
ღრუბლის ფთილა,  
დააქივლა...  
მერე იმ მზემ  
გულმასარამ

ხელ-პირიც რომ  
შეიმშრალა,  
გზას დაადგა  
ბილიკ-ბილიკ,  
ჭალა-ჭალა,  
შარა-შარა,  
ჭირნახულის  
აღებაში  
ქალსა თუ კაცს,  
დიდ-პატარას,  
ამოუდგა  
ვევლას მხარში,  
გული ვევლას  
გაუხარა.

## ციფოყარო

- გუთხარ, წინწკარა  
ციფ-წუაროვ -  
ღუთხმშობლის ცრემლო  
ციცნცხალო,  
ვევლასე მეტად  
ვინ გიუვარს,  
ვევლასე მეტად  
ვის სწუვალობ?  
- ვინც ამ მთა-ბარის  
მცველია,  
ძისრუის  
მელაემოულელელია  
და ვისაც გაჭირვებისა  
ვევლან იმედად  
ელიან...  
- გმადლობთ, ციცნხალო  
ციფწუაროვ,  
შენმა გამჩენმა  
იხაროს.





პატარა პეპელა  
ქარშა გაიტაცა,  
პეპელა ფრთაჭრელა  
ქარშა რად გაიტაცა?  
ეპეი, ბიჭუკელავ,  
რომ გცნობენ  
კაიკაცად.  
დაედევნე,  
მიწვეულე პეპელას!  
ბიჭმა ცხას ახედა,  
ჯერ ღმერთი ახსენა,  
მერე ქარს გაენტო  
პეპელის დანახსნელად:  
- ეპეი, ქარო, ქარო,  
დაეარე ფარ-სმელი,  
წყმთან არ ვაგვივა  
ეგ აუაღმაელი.  
თუმც ფრთები არა მაქვს,

არც ღონე შენგელა,  
მაინც არ დაგიომოზ  
პატარა პეპელას!  
- რაო, რა ბრძანყო?!  
ქარი მთლად განცნსლდა,  
ამას, რას მიბუდავს,  
ეს ვილაც ნამცვცა!  
აბობოქრებულმა  
ხადავე აიძევა,  
ხურდა, ქვეულიყო  
ხაშინელ ქარიშხლად.  
რა ქნა ბიჭუნას,  
კვლავ ზეცას გახედა:  
- უეურეთ, ამ ბოროტს,  
როგორ ვათავსედდა! -  
ქარს უკან ვაენტო,  
ხელი წაატანა  
და ქუდში ჩაისვა  
პეპელა პატარა...





**ბიჭის კოსტუმი.** ბრიჯები სრული, წინ ნაკეცებით. ვერტიკალურად ჩაჭრილი ჯიბეებით. ბოლოვდება ყოშით (გადანაკეცით). პურანგი ჩვეულებრივია, ბრიჯების ქსოვილით გაწყობილი.



**პიჯამი** სწორი, დაკრებული ჯიბეებით. კიდებზე შემოვლებული აქვს თავისივე ქსოვილის ქობა. იკრება იგივე ქსოვილის თასებით გაკეთებული თავისუფალი დილკილოებით. ძალიან უხდება ჭრელ მოკლე კაბასაც.

**მოსაგმელი** ერთფერო, სწორი. ასევე სწორი თავისუფალი სახელო. ჯიბეები ჩაჭრილი. საფელოსთან მივლებული აქვს სარაფანის ქსოვილი; იგივე ქსოვილი გადაკრული აქვს დილებსაც.



# აღსარება

(მხილთხილ თქუ ჩანაჲსს)



გნებდები, შენს წინაშე  
თითს მოვკაკეავ და მოვკეც,  
სამშობლოდ დაფლეთილი  
საქართველო რომ მოგეც.

ვერ ავაძორე მტრისგან  
და თვით შვილთაგან რბევა...  
ცხადია, დამნაშავე,  
უპირუფლებად, მე ვარ.

შენ და, ჩვენს ათასობით  
შვილიძეილსა თუ ბადიშ,  
ვევლა ბაბუის ნაცვლად,  
მე ერთი ვუსდი ბოდის.

რომ თქვენ აძენოთ უნდა,  
რაც გვსურდა და ვერ ვაგეთ...  
ლეკვებს უფალი დაგზრდით  
დაბადებულებს აღგეთს.

დაბადებულებს ივრის,  
რივნის, ენგურის პირას...  
ასე ზის უსლავუნ, ვინმემ  
მტრობა თუ დაგვიპირო.

თქვენ ჩვენნიარად მტრის ჯინს  
შეუჭმევინოთ არც როს,  
ისე ვერ მოკრეფთ ვკადს,  
ხელი არ გაგვაპროთ.



# უგაყუს პანსკვინაჟა ქაბაღური რიყუნა



ბატონ ამბობენ შენზე, რომ ჩერხეტი ხარ, ჯიუტი, მიუხვედრელი, მოხერხებელი, ერთი სიტყვით, - უტყვისო. შენი სახელი საღანდაღი სიტყვაა.

არადა, ვინ არის შენსავით მომთმენი, ნუთუ ყველა იმ სამსახურისთვის, რასაც შენ უწევ ადამიანს, დაცინვის, ცემატყეპის, შიმშილ-წყურვილის და ცუდი მოვლის დარსი ხარ?

ხომ მიხვდით რომელ ცხოველზეა ღაპარაკი? მაგრამ, აბა, დააკვირდით დიდყურას, როგორც მას ეძახიან თავისი დიდი ყურების გამო! თვითონ ნუ შეღაზავთ მის დირსებას, და მალევე დარწმუნდებით, რომ ის მზიარული, საზრიანი და მშვიდობიანი, ცოცხალი, ჭკვიანი, თავისუფლების მოყვარული და მამაცი, ერთი სიტყვით საყვარელი და სათნო ცხოველია.

თუ რომელიმე შინაურ ცხოველზე იტყვიან, ადამიანის მოსამსახურეაო, სხვაზე მეტად ეს სწორედ ვირს ეხება. ზოგიერთი ხალხის ოჯახური ცხოვრება და მეურნეობა უმისოდ თითქმის შეუძლებელი არის. იგი მორჩილია და დაუღალავი მშრომელი - ტვირთის ეზიდება, ურემში აბია, უხაგირსა და კეხს იღვამს, გუთანშიაც აბამდნენ ხოლმე. მეტი რაღა ვინდათ? უკეთეს მუშას განა იშოვით?!

იმ ქვეყნებში, სადაც ვირებს ცუდად ეყურებიან, - სცემენ, საჭმელს ვერ აჭმევენ და ვერ უწლიან - ისინი დანიაკებულენი, გადაგვარებულენი და მართლაც გამოწყვეტილებული არიან.

საცემ-საჭმეპი, აუტანელი შრომისა და

შიმშილისაგან დაღლილ-დაქანცული ვირი ჯიუტობს, უჯობდ არაფერს აკეთებს. როგორც ყველა პირუტყვს, მსხაც აფერსი, სიყვარული, მოყვრება სჭირდება. კარგ პატრონს ვირი ეხვევა, უმეგობრდება; უცნობებში ადვილად არჩევს ნაცნობს; თუ დაუძახებენ - ხალისიანად მიდის, მაგრამ თუ უახრო რამეს აკეთებისებენ, ჯიუტობს.

ვირი ცვრცვლებულია საბერძნეთში, ესპანეთში, ინდოეთში, ირანში, ეგვიპტეში, რუსეთში, საქართველოში.

ინდოეთის ვირი პატარა ტანისაა, სპარსეთისა და ეგვიპტისა ღამაში, ღონიერი და დიდი ტანისაა.

შინაური ვირი წარმოშობილია ველური, მინდობის ვირისაგან.


აი, რას ამბობენ მოშინაურებულ ვირზე: „მუდმივი სიძაგული მოპყრობით შინაური ვირი თუ დავცა, გადაგვრდა, რომ წინაპრებს ისეთქმის არ მკავს; ის მათგან განსხვავდება არა მარტო პატარა ტანით, არამედ ფერით, რომელიც მას უფრო მკრთალი, რუხი-ფერფლისფერი აქვს. ყურებიც უფრო გრძელი აქვს და ჩამოყრილი, ვიდრე გარეულ ვირს“.

ცული მოპყრობით ვირს სიფრთხილე სიჯიუტეში გადაეხარდა, სიმკვირცხლე - სიზანტეში, ჭკუა - სიღუნუნეში, თავისუფლებისაყენ სწრაფვა - მოთმინებაში, მხნეობა - ცემატყეპის მიმართ გულგრილობაში.

გავსებთ „მადანას ღურჯა“. ბორტმა პატრონმა თავის სახედას არც აჭამა, არც ასვა, დაუსოვავად ამუშავა და როდესაც გაძვალტყავებული პირუტყვი სიკვდილის პირას მიიყვანა, საღდაც ხევში გადააგდო. მაგდანამ და მისმა ობლებმა იპოვეს იგი და ცოცხალ-მკვდარი სახლში წაათრეს, მოყვრებით, აფერსითა და მოვლით მოსახლეობენ. მაღლიერი ცხოველი ერთგულად ემსახურებოდა მათ, სანამ ძველმა პატრონმა უსამართლოდ კვლავ არ დაიბრუნა იგი.







ვრის საყვარელი საკვება საშუკრა, პაროსანი მცენარეები. საკვებს მაინცდამაინც არ არჩევს და ბევრსაც არ ჭამს. წყალი კი უხათოდ სუვთა უნდა იყოს რომ დალიოს.

ვირი ხაოცრად გრძნობს ამინდის ცვალებადობას. მოსალოდნელი ცუდი ამინდის წინ თავს ძირს ხრის. სმუნა და მხედველობა ძალიან განვითარებული აქვს. ყნოსვა - სუსტი.

გულგამძვირავი ხმით იცის ძახილი: - ოა, ოა.

ერთმა თუ დაიწყო ყროყინი, სხვებიც აწყვებიან და ჯოჯობეთური კონცერტი იმართება. ახე რომ მუსიკალური სმუნითა და ხმით ვირი თავს ვერ მოიწონებს.

კატორღული ცხოველების მოუხედავად ვირი 30 წლამდე ცოცხლობს, თუმცა კარგი მოვლით 40 წლამდეც შეიძლება გაძღოს.

ლუარა გორღიანი3080

## ჰანთან ლაქსი

დალილა ბაღიანიძე

წია-წია, შე ზაწიავე,  
რა გაწიულეებს? ხომ არ გშია?  
„არა! ერთი, ორი, სამი...  
გადაუელაზე სუთი ჭია.  
ჰოდა, მეტი მომივიდა  
და მუცელი ამატკივა.  
მაგრამ რა ჯენა, კიდევ მინდა,  
წია-წია! წია-წია!“

ასეთია, ღორმუცელას  
ხვედრი მუდამ მწარე არი.  
გაბერილს და მუცელღმერთას  
დასცინიან დანი, ძმანი.



შატკარი თაა რიჟამაძე

საბართმელოს  
0 6 0 3 5 0 0 0

## ზამოღანა მოდიოდნენ



ზემოღანა მოდიოდნენ  
ნესტანი და ღათო,

ერთმანეთს ვუბნებოდნენ:  
რა კარგები ვართო,

საბავშვო ბავშვთა სახლის გვერდს -  
ერთად დავდივართო,

ესო უჩინარმა ჩარია,  
ოთახები ფართო,



მასწავლებლებიც კარგი გვერდს -  
ძლიერ ვუყვარვართო,

სოგი ხატვას გვესწავლის და  
სოგი ცეკვით გვართობს,

არც ერთი არ ვუშინდებით -  
თავს გვაწვიძის თუ გვათავს.

ისე გააკაკებული ვართ,  
კანფეტებს ვკვებვართო.



ვევლადფერი გვიხარია,  
არაფერსე ვდარდობთ,

საქართველოს სიამაჟედ  
უნდა გავიხარდით.



დაბადების  
დღეს!



რადამცნა დაბადების დღეს ულოცავს:

ვაჟ ბელაქსიძეს, ვაჭო ბააკაშვილს, ქათინო ღუ ბიორბი ბახტურიძეებს, ჯეგალ დუ ბინ ბენიძეებს, ბაბუ ბინძეებს, დიტო ბრეგვაძეს, დიმიტრი ბუჯინაშვილს, მარინა ბიორბი ბოგინიანიშვილებს, ლეკვენიკო ბრძელიძეს, ელენე დარსაყველიძეს, ანო ვარდოლაძეებს, ანო ზომიძეს, ნინო კვანტრას, ბექარ კვიციანიშვილს, მარი კვიციანიძეს, ბიორბი ბამულაშვილს, შმაგი დუ შიო ნაკაშიძეებს, დეათო სარაჯიშვილს, ბიორბი სულაძეს, ლელა ზიფიას, თამარ ქარციძეს, ელენე შავიშვილს, ნინო შავიძეს, ილია დუ მიშიკო შოჰვაძეებს, დავით რობაქის, ზურაბ მუხომერიძეს, თიკო ნარეთელს, ნიკოზა ხოშორიას, ქათი ჯაყელს.



# დათუნია მეურმა



დათუნია მეურმე  
ზის ამაყად კოფოზე,  
ესაღმედა ღიმილით  
ჩხიკვეებსა და ოფოფებს.

დათუნიას ურემში  
ორი ბეღი აბია  
და ბუნაეში გადააქვთ  
თხილია თუ წაბლია.

ზანტაა თუ მავალით,  
დაკროცილი კაკლები  
და კველასე უტკბესი -  
ბიდონებით თაფლები.

უხვი შემოდგომაა  
თუ ღარშიც, თუ ავღარშიც  
კარგად არ გაისარჯუ,  
იშიშმიღებ სამთარში.

დათუნია ხილეულს  
მეზობლებსაც არგუნებს,  
კეთილ გულთი მიაწვდის  
ციფვუნებს და ზღარბუნებს.




## სტაფანა მხარბრძელი

### კახის კახი

კაკო ზაბამ ერთხელ კახის  
მოუტანა დიდი კვახი,  
კანმა რომ თქვას, ჩვენი კახი  
არცკი არის კვახის ხელა,  
ხელს ჩააუღებს, ძლივს მიათრევს,  
თან დიღინებს: დელი, დელა...  
გაგორდება იქით კვახი,  
თან მიჰყვება უკან კახი,  
ერთმანეთის შორი-შორა  
გორაობენ: გორი-გორა...





**„ღვრიბა“** (კოსტუმი - ორული)  
 უკრებლანი ქსოვილის ბრძელები ჩაჭრილი  
 ღებები, წინ ნაკეცებით, დაბოლოებულია  
 კომი (გადანაკეცი).

**პიჯნაპი** წითელი ფერისაა. გაწყობი-  
 ლა შარვის ქსოვილით. მაღალ ოკოკტკა-  
 ში ჩასმული ჯიბეები ბოლოუდება „პლანკ-  
 სი“. საველო წითელი. დიღებუ ქსოვილია  
 გაღაკრული (წითელ ფონზე უკრებლანი,  
 უკრებლანზე - წითელი).

**ბიჭის კოსტუმი**

შორტები უკრებლანი ქსოვილისა-  
 გან, ჩაჭრილი ჯიბეებით. პერანგი ერთფე-  
 რი, დამღვანი საველითი. ელეტი პე-  
 რანგის ქსოვილისგან. სწორი. ბრძელების  
 ქსოვილის საველო და ჯიბეები.



**მოდა**

### მერთაზი

უკვე ველარ დადიხარ  
სიმსუქნისგან, მურთიო,  
როგორ დამრგვალებულხარ,  
ბიჭი ხარ თუ ბურთიო.



### ლევანი და გორა

ჭიდაობენ ბიჭები,  
ლევანი და გორაო,  
ლევანიკომ აჯობა  
გორა გააგორაო.



### ჯამალ მარბაველი ბაზაფხული

ვაიღვია ნუშმა,  
ვახილა თვალი,  
შეიმეო და შეიმოსა  
როგორც პატარმადი.  
მან პირველმა გაზაფხული  
მოგვიღოდა გველას,  
კველეობს და ინაზება,  
ქაღვლეღვით დეღაფს.

### ღიმიობრი მახაზვილი პატარა ანის

ანი, ჩემო სიცოცხლე  
და პაწია იაო.  
ჩემო დიდო საუნჯე,  
სიხარულის ნიაო.  
დედის დიდო იმედო,  
ანგელოზო ცისაო.  
სიხარულით მოსულო,  
სხივო მნათობისაო.  
სიყვარულით შობილო,  
ანასხლეტო მზისაო.  
დედის ღოცვა გფარავდეს,  
კაღთა დეთისმშობლისაო.



მხატვარი თამარ ხუციშვილი



**შალვა ზადელაშვილი  
პაპონანა**

ზამთარში ვარ საქინო,  
ზაფხულში კი არა.  
ამიტომაც სიცხეში  
უმოქმედოდ ვდგავარ.  
როცა არა ვვუვუნებ,  
ჩემს გულს მჭვარტლი შფარავს.

**ნანა ნათაძე  
მისარბოში**

ბარდღუნას ასტკევდა  
თურმე ხიდომნის კბილი.  
მელაკუდამ ურჩია  
მთხალუელი...

**იმარი ხარაძე  
ბაბუღას დანაბარები**


(ენის ვახატეხი)

ბუბამ, ბადრიმ,  
ბექამ, საბამ,  
ბაიამ და ბესომ  
ბაბუღას დანაბარები  
ბებოს უამბეს...

მხატვარი  
ანა მბალობლიშვილი

**გეომეტრიული კონსტრუქციები**

ჰორიზონტალურ სვეტებში ჩაწერეთ შე-  
საბამისი გეომეტრიული ფიგურის სახელი.  
თუ ყველა სტრიქონს სწორად შეავსებთ,  
წითელ სვეტში წაიკითხათ ბავშვებისთვის  
ყველაზე საყვარელ სიტყვას ...



ბ 23/34



ღახტი ქართველი ბავშვების საყვარელი თამაშია.

ბავშვები შემოსაზავენ წრეს, რომლის დიამეტრი დამოკიდებულია მოთამაშეთა რაოდენობაზე, ორ გუნ-  
დად გაყოფიან და, კეხტყურის მიხედვით, ერთნი წრეში დგებიან, მეორენი - წრის გარეშე. წრეში  
მდგომი თითოეული მოთამაშე ფეხებზე დადებს ქამარს ისე, რომ აბზინდა წრეს ეხებოდეს. მსაჯის ნიშ-  
ნის მიცემისთანავე გარეთ მდგომი მოთამაშეები ცდილობენ მოწინააღმდეგეს ქამრები წაართვან ოღონდ  
ისე, რომ მოწინააღმდეგემ არ „ჩაჭრას“ რომელიმე მათგანი (მოთამაშე „ჩაჭრილად“ ითვლება და თა-  
მაშს ერთხანს ეთიშება, თუ წრეში მდგომი მას ფეხზე ფეხს დაადგამს და თან მეორე ფეხს წრის გა-  
რეთ არ გამოიტანს).

მას შემდეგ, რაც უკანასკნელი ქამარიც აღებულია, იწყება წრეში მდგომთა შევიწროება (წრის გა-  
რეთ მეორენი მათ წვივებით ქამრებს ურტყამენ). ასე გრძელდება, სანამ წრეში მდგომი რომელიმე ბავ-  
შეი შემდეგ მოთამაშეს არ ჩაჭრის. ამის შემდეგ გუნდები როდღეს ცვლიან.

აბრძალულია ქამრის მორტყმა მუხლის ზევით, და უხეში თამაში.



მეტყვარი ნაზხარ ბიბაურს

**რედაქცია კალატოას სწორავს ქუთაისის ხანოტარო ბიუროს ნოტარიუსს, კალატოე  
ათარ გვირიტივილს ნომრის ნაწილორავ ღაფინანსპეისბოვის.**

მთავარი რედაქტორი **ლოლო წიჭწიჭიაძე**

სარედაქციო საბჭო: ლევან ბაბუხაია, ციციო გამყრელიძე, ვიორგე რიონიშვილი,  
მადეა კვაჭანტირაძე, შერაძინ ქალანდი, თეზიზ ჩალაური.

მისამართი: თბილისი, კოსტავას 14, ტელ: 93 10 32, 93 41 30

გამოცემის 1904 წლიდან

**დავაჰილია გულიგარამიში გამოცემილია «შენი» მიერ.**

ფასი: 2 ლარი და 50 თეთრი

ხელმოშწერთათვის: 2 ლარი

